

კრეატიული პროექტების მართვის კურსი

ლექტორები

ეკატერინე ებანოიძე
ზიზი ნასრაშვილი

კურსის დრო

9 შეხვედრა (18 საათი)

სასწავლო კურსის მიზნები

კრეატიული პროექტების მართვის კურსის მიზანია მონაწილეებს შეასწავლოს პროექტების მართვის საფუძვლები სარეკლამო და საკომუნიკაციო სფეროში, რათა შეეძენათ სისტემური წარმოდგენა პროექტის ციკლზე ბრიფინგის შესრულებამდე.

სასწავლო კურსის შინაარსი

ლექცია 1: რეკლამის მიმოხილვა, გლობალური და ლოკალური კამპანიები

- რეკლამის მიმოხილვა
- მსოფლიო და ლოკალური რეკლამები და კამპანიები
- Big Idea & ინსაითი
- განხილვა და დისკუსია
- **პრაქტიკული დავალება #1**

ლექცია 2: პროექტების ტიპები, განსხვავება და სპეციფიკა

- სტრატეგია
- ნეიმინგი და ბრენდინგი
- კრეატიული კამპანია
- კონტენტი და ვიდეო პროდაქშენი
- თითოეული პროექტის ტიპის მაგალითების მიმოხილვა

ლექცია 3: ბრიფინგის (დავალების) შედგენა

- რა არის ბრიფინგი, როგორი ტიპის ბრიფინგები არსებობს
- ბრიფინგის მაგალითების განხილვა
- როგორ შევადგინოთ სწორად ბრიფინგი
- ბრიფინგის როლი პროექტის პროცესში
- **პრაქტიკული დავალება #2**

ლექცია 4: რა ციკლს გადის კრეატიული პროექტი ბრიფინგის დასრულებამდე

- ბრიფინგი და ინსაითები

- კრეატიული კონცეფცია
- იდეის შერჩევა
- აღსრულება
- ლონჩი
- Case Study - მოწვეული სტუმარი კრეატიული გუნდიდან

ლექცია 5: პროექტების დაგეგმვა და აღსრულება, ბიუჯეტი და თაიმლაინი

- ბიუჯეტის შედგენა
- თაიმლაინის შედგენა
- პროექტის თაიმინგი
- KPI და პროექტის ინდიკატორები
- **პრაქტიკული დავალება #3**

ლექცია 6: პროექტის მართვა და შესრულების პროცესები

- სამუშაო პროცესის დეტალური დაგეგმვა ეტაპობრივად
- გუნდის მართვა და როლების გადანაწილება პროექტში
- პროექტის შიდა კოორდინაცია და კლიენტთან კომუნიკაცია
- ვადების, ბიუჯეტისა და ხარისხის კონტროლი
- პრობლემების მართვა და ოპერატიული გადაჭრის გზები პროექტის მსვლელობაში

ლექცია 7: მედია - როგორ მუშაობს მედია, რა ტიპის მედია არსები არსებობს, მედიის როლი პროექტში

- მედიის როლი კომუნიკაციაში და არხების ტიპები (TV, Digital, Radio, OOH)
- პროექტის ფარგლებში მედია პარტნიორების თანამშრომლობის მექანიზმი
- მედია ბიუჯეტირება და ეფექტურობის შეფასება
- პროექტის შესაბამისად ბიუჯეტირება არხებს შორის
- **პრაქტიკული დავალება #4**

ლექცია 8: სრული 360° კამპანიის პროექტის დაგეგმვა

- ბრენდის და ბრიფის შერჩევა თითოეული სტუდენტისთვის
- საბოლოო პრეზენტაციის დავალების გაცნობა

ლექცია 9: მასალის შეჯამება და ფინალური პროექტის პრეზენტაცია

- კურსის განმავლობაში გავლილი ძირითადი თემების შეჯამება
- ფინალური პროექტების პრეზენტაცია
- ჯგუფური განხილვა და უკუკავშირი

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები

კურსის მსმენელებს ეცოდინებათ და შეძლებენ:

- კრეატიული პროექტის სწორი დაგეგმვა და მართვა - პროექტის ყველა ეტაპის (ბრიფი, სტრატეგია, კონცეფცია, ბიუჯეტირება, თაიმლაინი, მედია არხები) სტრუქტურირებული მართვა;
- დავალებების საფუძველზე ზუსტი ბრიფის შექმნა და პრეზენტირება;
- კრეატიული კამპანიების დაგეგმვა და ბიუჯეტირება - 360° კამპანიების არქიტექტურა, მედიის შერჩევა და რესურსების ოპტიმალური განაწილება.
- გაიგებენ, როგორ მუშაობს რეკლამა გლობალურად და ლოკალურად და შეძლებენ იმუშაონ განსხვავებული მასშტაბის კამპანიებზე ეფექტურად;
- ისწავლიან Big Idea-ს და ინსაიტის მოძიებას და შეძლებენ კრეატიული იდეების გენერირებას რეალურ ბრიფებზე დაყრდნობით;
- შეისწავლიან სარეკლამო პროექტების ტიპებს (სტრატეგია, ბრენდინგი, კონტენტი, ვიდეოფროდაქშენი) და შეძლებენ შეარჩიონ შესაბამისი მიდგომა კონკრეტული ამოცანისთვის;
- დაეფუძლებიან ბიუჯეტის, თაიმლაინისა და KPI-ების დაგეგმვას და შეძლებენ სარეკლამო პროექტების ეფექტიანად მართვას;
- გაეცნობიან გუნდის მართვის და შიდა კოორდინაციის პროცესებს და შეძლებენ ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველყოფას როგორც გუნდთან, ისე კლიენტთან;
- გაიგებენ მედიის როლს და არხების სპეციფიკას (TV, Digital, Radio, OOH) და შეძლებენ მედიაგეგმარებისა და ბიუჯეტირების განხორციელებას პროექტის მიზნებზე მორგებით;
- მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას რეალური ამოცანების შესრულებით და შეძლებენ დამოუკიდებლად წარმოადგინონ სრული 360° სარეკლამო კამპანია პრეზენტაციის სახით;
- განივითარებენ კრეატიულ, ანალიტიკურ, მენეჯერულ და პრეზენტაციულ უნარებს, რომლებიც აუცილებელია სარეკლამო და საკომუნიკაციო სფეროში პროფესიული საქმიანობისთვის.

სასწავლო კურსის მოთხოვნები

- სამუშაო ენებია ქართული და ნაწილობრივ ინგლისური (რეკლამების მაგალითების განხილვისას).

ლექტორის შესახებ

ეკატერინე ებანოიძე

- ეკატერინეს აქვს 13 წლიანი სამუშაო გამოცდილება სარეკლამო სფეროში, როგორც გლობალურ, ისე ლოკალურ ბრენდებთან;
- ამჟამად ეკატერინე იკავებს Marketing and Communication Lead-ის პოზიციას კომპანია Boxette Georgia-ში;
- მანამდე 2021 წლიდან მუშაობდა „ლივინგსტონში“ Account Director/Account Supervisor-ის პოზიციაზე;
- პირველი სამუშაო ადგილი სარეკლამო სააგენტო იყო, სადაც სარეკლამო სფერო ჯერ კიდევ განვითარებადი იყო. სხვადასხვა ტიპის ამოცანებზე მუშაობამ ხელი შეუწყო პროფესიული ინტერესების და კარიერული მიმართულების განსაზღვრაში;
- შემდეგ დაიწყო მუშაობა Publicis Group-ში Account Executive-ის პოზიციაზე. სწორედ ამ დროიდან დაიწყო აქტიური პროფესიული განვითარება, რაც გაგრძელდა Saatchi & Saatchi Tbilisi-ში - Account Director-ის პოზიციაზე რამდენიმე წლის მუშაობით. ეს პერიოდი გამოირჩეოდა მრავალფეროვანი პროექტებითა და პროფესიული გამოწვევებით;
- აქვს მუშაობის გამოცდილება საერთაშორისო ბრენდებთან, როგორიცაა H&M, Nestlé, Carrefour, ასევე ქართულ ბრენდებთან სხვადასხვა კატეგორიაში. ჩართულია რეგიონულ პროექტებში და აქვს თანამშრომლობის გამოცდილება კავკასიისა და მიმდებარე ქვეყნების ბაზრებზე;
- CANNES LIONS GEORGIA - MARKETER CATEGORY JURY 2024.

ზიზი ნასრაშვილი

- ზიზი არის Lead Advertising & Brand Communications specialist;
- მისი პროფესიული გამოცდილება 10 წელზე მეტს მოიცავს და ამ პერიოდში უმუშავია სხვადასხვა ტიპის კამპანიებზე, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ კლიენტებთან;
- კარიერა დაიწყო Saatchi & Saatchi-ში, თავდაპირველად პროდაქშენ ასისტენტის პოზიციაზე. მალევე გადავიდა ექაუნთ მენეჯმენტში და გაიარა პროფესიული განვითარება Account Executive-დან Account Director-ის პოზიციამდე. Saatchi & Saatchi-ში ათწლიანი მოღვაწეობის შემდეგ საქმიანობა გააგრძელა კრეატიულ სააგენტო „ლივინგსტონში“, სადაც ხელმძღვანელობდა და სუპერვაიზინგს უწევდა ექაუნთ მენეჯმენტის გუნდს;
- გამოცდილება მოიცავს ისეთ საერთაშორისო ბრენდებთან მუშაობას, როგორიცაა Mondelez, H&M, Bavaria, Borjomi, ასევე მრავალ ქართულ კლიენტთან სხვადასხვა კატეგორიაში;
- აქვს როგორც რეგიონულ ბაზრებზე მუშაობის პრაქტიკა, ისე სხვადასხვა ქვეყნისთვის კამპანიების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობის გამოცდილება;
- CANNES LIONS GEORGIA – MARKETER CATEGORY JURY 2023.